

კინგის ქართული ენის ოლიმპიადა

პირველი ტური

მე-8 კლასი

I სავარჯიშო - შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ (60 ქულა)

1. რომელ წინადადებაშია გამოყენებული კრებითი სახელი?
 - ა) ჩემი დედა დღეს მეტად ბედნიერია.
 - ბ) წინაპრების უდიდესი სიბრძნეა პოემა „ვეფხისტყაოსანში“.
 - გ) ერის სიამაყეა დიდი შოთა რუსთაველი.
2. რომელია კუმშვად-კვეცად სახელთა წყვილი?
 - ა) საბა, იორამი;
 - ბ) სამშობლო, მამული;
 - გ) ბეგარა, მოყვარე;
3. როგორი ფუძე აქვთ არსებით სახელებს: წერეთელი, მაჩაბელი, მატაბელი?
 - ა) კვეცადი;
 - ბ) კუმშვადი;
 - გ) კუმშვად-კვეცადი;
4. რომელი ბრუნვის ფორმაა სიტყვა - „სიძულვილამდე“?
 - ა) ნათესაობითი;
 - ბ) მოქმედებითი;
 - გ) ვითარებითი;
5. რომელია სწორად დაწერილი?
 - ა) მეცხრეს შემდეგი;
 - ბ) სამოცდამეექვსის შემდეგი ;
 - გ) ოთხმოცდამეათეს შემდეგი;
6. რომელი კომპოზიტია სწორად დაწერილი?
 - ა) ბალახ-ბულახი;
 - ბ) წინდახედული;
 - გ) სამასორმოცი;
7. რომელი კომპოზიტია არასწორად დაწერილი?
 - ა) ათასორი;
 - ბ) მძიმე-მძიმე;
 - გ) წელგაწყვეტილი;
8. რომელია ზმნის არასწორი ფორმა?
 - ა) ვპერწავ;
 - ბ) ვმღერივარ;
 - გ) ვუამბობ;
9. რომელია სამპირიანი ზმნა?
 - ა) აიტანა;
 - ბ) ისუნთქა;
 - გ) აამბობინა;
10. რომელია უზმნისწინო ფორმა?
 - ა) მინდა
 - ბ) მოგინდა;
 - გ) დააკლო;
11. რომელ წინადადებაშია ზმნა არასწორად გამოყენებული?
 - ა) კარგად აღზარდა თებეამ თავისი ერთადერთი ვაჟი.
 - ბ) მართალი სიტყვა ყველას ესიამოვნება.
 - გ) ნუ ტირიხარ, შვილო!
12. რომელი წინადადების ზმნაა სასხვისო ქცევისა?
 - ა) ყველაფერი კარგად ახსოვდა ნაომარ პაპას.
 - ბ) მშვენიერი ნახატი დაუხატა გამოფენისთვის.
 - გ) ძაღლის ბედით შეწუხებული ბიჭი ფილაქანზე ჩამოჯდა.
13. რომელია არასწორი ფორმა?
 - ა) არაფერის;
 - ბ) ჩვენგანი;
 - გ) რაღაცები;
14. რომელ წინადადებაში არაა ნაცვალსახელი შეცდომით დაწერილი?
 - ა) „ვიღაცებზე საუბრობდნენ და თან იცინოდნენ.“
 - ბ) „ერთსა და იგივეს იმეორებდნენ პატარები.“
 - გ) „ჩვენსკენ იყო მომართული მათი მზერა.“
15. რომელ წყვილშია მიზნის ზმნიზედა?
 - ა) დასადინებლად მოემზადა;
 - ბ) წყლიდან ამოიყვანა;
 - გ) მშვიდად შეხვდა;
16. რომელ წინადადებაშია მიზეზის ზმნიზედა?
 - ა) მარტოობის გამო იქაურობას გაეცალა.
 - ბ) გიორგიმ ძმის წარმატებისთვის იზრუნა.
 - გ) წითლად ღუდღუდებს ნეკერჩხლის ფოთოლი.
17. ჩამოთვლილთაგან რომელია პირველი სერიის ზმნა?
 - ა) ჩაირბინა;
 - ბ) იბედებდეს;
 - გ) დამსგავსებია;

18. ჩამოთვლილთაგან რომელი ზმნაა პირველი თურმეობითის ფორმისა?
ა) მიბრძოლია; ბ) მომეხმარა; გ) წყინს;
19. რომელ ბრუნვაში დგას ობიექტი ზმნაში „გაუძალიანდა“?
ა) სახელობითში; ბ) მოთხრობითში; გ) მიცემითში;
20. რომელ ბრუნვაში დგას სუბიექტი ზმნაში „იმარჯვა“?
ა) სახელობითში; ბ) მოთხრობითში; გ) მიცემითში;

II სავარჯიშო - შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ (30 ქულა)

21. წინადადების რა წევრია ხაზგასმული სიტყვა? „სიბნელებაში ხანგამოშვებით გაიელვებდნენ დედის თვალები.“
ა) ქვემდებარე; ბ) პირდაპირი დამატება; გ) განსაზღვრება;
22. წინადადების რა წევრია ხაზგასმული სიტყვა? „მატარებელი სადგურს უახლოვდებოდა.“
ა) პირდაპირი დამატება; ბ) ზმნიზედა; გ) ირიბი დამატება;
23. რომელ ბრუნვაშია ქვემდებარე წინადადებაში: „გულის ჯიბეში დეპეშა იდო.“
ა) სახელობითში; ბ) მოთხრობითში; გ) მიცემითში;
24. რომელ ბრუნვაშია ხაზგასმული სიტყვა წინადადებაში: „მაგიდასთან მჯდომმა ქალმა კითხვა დაუსვა.“
ა) სახელობითში; ბ) მოთხრობითში; გ) მიცემითში;
25. რომელ ბრუნვაშია განსაზღვრება წინადადებაში? „ჩვენი წამებული ცხოვრება ხშირად გვაფიქრებდა.“
ა) სახელობითში; ბ) მოთხრობითში; გ) მიცემითში;
26. რამდენი სინტაქსური წევლია წინადადებაში? „ფრთაშესხმულმა უკანასკნელად შეხედა სინათლეს.“
ა) სამი; ბ) ოთხი; გ) ხუთი;
27. სინტაქსური ურთიერთობის როგორი სახეა წყვილში - „ფუტკრის შხამი“?
ა) შეთანხმება; ბ) მართვა; გ) მირთვა;
28. სინტაქსური ურთიერთობის როგორი სახეა წყვილში - „ერთგულო მეგობარო“?
ა) შეთანხმება; ბ) მართვა; გ) მირთვა;
29. სინტაქსური ურთიერთობის როგორი სახეა წყვილში - „იქ დაიბეჭდა“?
ა) შეთანხმება; ბ) მართვა; გ) მირთვა;
30. როგორია აგებულების მიხედვით წინადადება: „ფუტკარი მოუსვენარია, იმიტომ რომ ქვეყნის სამსახურშია“?
ა) მარტივი; ბ) შერწყმული; გ) რთული;

III სავარჯიშო - შემოხაზეთ სწორი პასუხი ა, ბ ან გ (10 ქულა)

31. განმარტეთ ფრაზეოლოგიზმი: „ თვალს წყალი დააღვეინა.“
ა) გაერთო; ბ) მოეწონა; გ) მობეზრდა;
32. განმარტეთ ფრაზეოლოგიზმი: „დრო მოჭამა“?
ა) დრო გაიყვანა; ბ) ცხოვრება დაასრულა; გ) გაუჭირდა;
33. რომელია სიტყვა „დაღალის“ სინონიმი?
ა) გამყიდველი; ბ) დახლი; გ) კულული;
34. რა მხატვრული ხერხია გამოყენებული წინადადებაში: „წიგნი გადაეშალა, ვით უქრობი ლამპარი...“
ა) ეპითეტი; ბ) შედარება; გ) გაპიროვნება;
35. რომელია კნინობით-ალერსობითი სახელის აფიქსტა წყვილი?
ა) -იკო, -ილო; ბ) -ოსან, -ოვან; გ) სა-ო, სა-ურ;